N გ-20-03/3131
29/09/2020

3131-გ-20-03-2-202009291423

შპს ,,ტელეიმედს“

შეტყობინება

როგორც თქვენთვის ცნობილია, **2020 წლის პირველ ოქტომბერს, 15:00 საათზე,** გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ისა და შპს ,,ტელეიმედის“ წინააღმდეგ ა(ა)იპ ,,ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ საჩივარი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.gncc.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.gncc.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

გიგზავნით ა(ა)იპ ,,ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2020 წლის 28 სექტემბრის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას.

დანართი:

1. ა(ა)იპ ,,ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ 2020 წლის 28 სექტემბრის განცხადება თანდართული დოკუმენტაციით;
2. ა(ა)იპ ,,ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ წერილები მაუწყებლებს.

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია